# *შეთანხმება*

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი CON170000034)

ქ. თბილისი 01 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით (მოქმედი სსიპ „საქპატენტის" თავმჯდომარის მიერ 2013 წლის სამი იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე), და მეორე მხრივ შპს ,,მაგთიკომი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და 2017 წლის 18 ოქტომბრის №152 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2017 წლის 18 ოქტომბრის №152 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 6000 ლარი.

2. ა) ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 1 თებერვლიდან 2018 წლის 1მარტამდე.

3. ხელშეკრულების მე–10 მუხლი ცამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 აპრილამდე.

4. 2017 წლის 18 ოქტომბრის №152 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2017 წლის 18 ოქტომბრის №152 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

6. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| სსიპ საქართველოს ინტელექტუალური | შპს „მაგთიკომი'' |
| საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" | |
| მისამართი: ქ. ანტიოქიის ქ. #5 | ს/კ 204876606 |
| ს.კ. 203831363 საბანკო რეკვიზიტები: | ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი |
| სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში | ბანკის კოდი № UGEBGE22 |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ა/ა GE73VT6600000000423607 |
| სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი: 707807132 | |
| საფინანსო დეპარტამენტის უფროსი | გენერალური დირექტორის მოადგილე: |
| ვლადიმერ სიხარულიძე | გია კოშორიძე |